

საქართველო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სასწავლო უნივერსიტეტი  
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



### ვამტიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

სენატის გადაწყვეტილება №11/12,

18.10.2017

რექტორი \_\_\_\_\_ დ. შარაბიძე



აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური  
საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი

ND 2-F15

შეთანხმებულია:

იურიდიული სამსახურის უფროსი \_\_\_\_\_ რ. ყიფიანი

შემუშავებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი \_\_\_\_\_ ლ. ჯაყელი



## შინაარსი

1. ნორმატიული ბაზა	4
2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები	4
3. ძირითადი დებულებები	6
4. ძირითადი დებულებები	10
5. დანართი 1. პროფესორის საგანმანათლებლო და სამეცნიერო /კვლევითი საქმიანობის თვითშეფასება	8
6. დანართი 2. აკადემიური თანამდებობის პირის აკადემიური საქმიანობის შეფასება	17
7. დანართი 3 . არასააუდიტორიო მუშაობის აღრიცხვის ფორმა	24
8. გავრცელების არე	26

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არევიით ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „აღრიცხვითი კვ ზეშედეგი“. რევიზიის ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სანაშარი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



## 1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
2. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
3. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
4. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
5. ჩანაწერების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;

## 2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები

### 2.1. ტერმინები

- 2.1.1. **აკადემიური თავისუფლება** – აკადემიური თავისუფლება – აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა;
- 2.1.2. **აკადემიური ხარისხი** – კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 2.1.1. **რექტორი** – სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – აგრეთვე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – აგრეთვე ერთ-ერთი კოლეგიური ორგანოს თავმჯდომარე;
- 2.1.1. **საგანმანათლებლო პროგრამა** – (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
- 2.1.2. **საკონტაქტო საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;
- 2.1.3. **სასწავლო კომპონენტი** – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი,

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 18.10.2017

შეუქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენების ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიატი „დრეფტული ვერსიის“ რევიზიატი ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმება ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/ პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;

- 2.1.4. **სენატი** – საზღვაო აკადემიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- 2.1.1. **ფაკულტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო- სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
- 2.1.2. **ხარისხის უზრუნველყოფა** – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
- 2.1.3. **შეფასების კომპონენტები** – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);
- 2.1.4. **შეფასების კრიტერიუმი** – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.
- 2.1.5. **შეფასების მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ.);
- 2.1.6. **შეფასების ფორმები** – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

## 2.2. შემოკლებები

- 2.2.1. **ECTS - The European Credit Transfer (and Accumulation) System** - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას.

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 18.10.2017

შეშვადი არ მათვლება დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულოვანი ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხიფებითი, წინასწარ შეთანხმებული ასლი მათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასწავლო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



### 3. ძირითადი დებულებები

- 3.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს აკადემიური თანამდებობის პირის საზღვაო აკადემიაში და მისი სახელით კვლევითი, პედაგოგიური მუშაობის შეფასების წესს.
- 3.2. შეფასებას ექვემდებარება აკადემიური თანამდებობის პირის <sup>1</sup> ყველა სამეცნიერო/კვლევითი და პედაგოგიური აქტივობა, რომელიც მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას სტუდენტის ხელმძღვანელობას, სასწავლო პროცესს სასწავლებელში მოქმედ ყველა დონეზე, საზღვაო აკადემიის სახელით (აფილირებული პროფესორი) სამეცნიერო კვლევით აქტივობებს, შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას და სტუდენტებთან კომუნიკაციას;
- 3.3. პროფესორის შეფასება ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, შემფასებელი კომისიის მიერ, აკადემიური თანამდებობის პირის მიერ, განსაზღვრულ ვადაში, თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის, მუშაობის პროცესზე დაკვირვების, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნების/შეფასებების და ინტერვიუს საფუძველზე;
- 3.4. პროფესორის შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, ყოველწლიურ საუდიტორიო და არასაუდიტორიო მუშაობის აღრიცხვის ფორმის მონაცემებს, პირად საქმეს, ადმინისტრაციის, სტუდენტების და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვის მასალებს, და შემფასებელი კომისიის დასკვნებს.
- 3.5. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიური პერსონალი ვალდებულია შეავსოს და აწარმოოს არასაუდიტორიო მუშაობის აღრიცხვის ფორმა, სადაც სრულად იქნება მოცემული მისი მუშაობის მოცულობა და სახეები. შესაბამისად ყოველი სასწავლო წლის დასასრულს იგი ვალდებულია სათანადო ფორმით წარმოადგინოს შესრულებული დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაცია, რომელიც შემდგომ ექვემდებარება შემფასებელი კომისიის მიერ შეფასებას. **იხილე დანართი 3.**
- 3.6. პროფესორის აქტივობის შეფასების მიზნით, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით იქმნება შემფასებელი კომისია, რომელიც მოქმედებს 3 წლის ვადით.

<sup>1</sup> პროფესორი - მოიცავს პროფესორს, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორებს.

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მათვლება დოკუმენტის აქტიურობის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათვლება როგორც „არააქტიური“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



- 3.7. შემფასებელი კომისიის მინიმალური შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ფაკულტეტის დეკანი, აკადემიის ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი და შესაფასებელი პროფესორების დარგის სულ ცოტა ერთი მოწვეული სპეციალისტი (პროფესორი) მაინც. სხვა წევრები განისაზღვრება საჭიროების მიხედვით, შესაბამისი კომპეტენციის გათვალისწინებით.
- 3.8. შემფასებელი კომისიის ფუნქციას პროფესორების დარგობრივი საქმიანობის, შრომითი ვალდებულებების და დამსაქმებლის პრესტიჟის ამაღლებაში შეტანილი წვლილის შეფასება - პროფესორის პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
- 3.9. პროფესორი შემფასებელ კომისიაში ყოველწლიურად, სასწავლო წლის ბოლოს, დასკვნითი გამოცდების დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა, წარმოადგენს თვითშეფასების ანგარიშს, რომელშიც ასახავს ინფორმაციას მიმდინარე/საანგარიშო სასწავლო წელს მისი პროფესიული, აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის და მიღწევების, კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების, სტუდენტების საქმიანობის ხელმძღვანელობის/კონსულტირების და სხვა საქმიანობის შესახებ. თვითშეფასების ანგარიშის მეშვეობით პროფესორმა უნდა აღწეროს და შეაფასოს მის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობა და მოიყვანოს კონკრეტული ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში მის მიერ გაწეული სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შესახებ. **იხილეთ დანართი 1.**
- 3.10. პროფესორის საქმიანობის შეფასება ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიის მართვის ორგანოების მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად და გამოსახება ქულებში. **იხილეთ დანართი 2.**
- 3.11. შემფასებელი კომისია ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს პროფესორის თვითშეფასების გათვალისწინებით და ინფორმაციის სხვა წყაროებიდან მოპოვების საფუძველზე. პროფესორის შეფასების დაფიქსირება მოხდება შემფასებელი კომისიის სხდომის ოქმის სახით.
- 3.12. შემფასებელი კომისია პროფესორის თვითშეფასების ანგარიშს და კომისიურ შეფასებას წარუდგენს აკადემიის სასწავლო აკადემიურ დეპარტამენტს.



- პროფესორის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში და კომისიური შეფასება თანმხლები დოკუმენტებით ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.
- 3.13. ყოველწლიური შეფასების შედეგები შესაძლებელია გახდეს პროფესორისთვის ფინანსური წახალისების, მადლობის გამოცხადების, სიგელზე წარდგენის და პასუხისმგებლობის საფუძველი.
- 3.14. პროფესორს ყოველ სემესტრში შუალედური თვითშეფასების საფუძველზე აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით უნდა დაუგროვდეს მინიმუმ 18 ქულა. ორივე სემესტრში სულ 36 ქულა ( $18+18=36$ ).
- 3.15. ამგვარად, 3 წლის განმავლობაში პროფესორის თვითშეფასებებით და მმართველობის შეფასებებით დაგროვებული ქულათა ჯამი თუ არის მინიმუმ 108 ქულა, ეს ნიშნავს, რომ პროფესორის პროფესიული უნარები, აკადემიური საქმიანობა და სამეცნიერო საქმიანობა შესაბამისობაშია დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან და პროფესორის შეფასება დადებითად ჩაითვლება. ( $108$  ქულას ვღებულობთ საშუალო შეფასებათა შეკრებით გამრავლებულს  $3$  წელზე. კერძოდ,  $36 \times 3 = 108$ , რაც გულისხმობს პროფესორის საქმიანობის დადებით შეფასებას).
- 3.16. იმ შემთხვევაში, თუ 3 წლის განმავლობაში მიღებული ქულათა ჯამი  $108$  ქულაზე ნაკლებია, ეს ნიშნავს, რომ პროფესორის პროფესიული უნარები, აკადემიური საქმიანობა და სამეცნიერო საქმიანობა არ არის შესაბამისობაში დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან და პროფესორს შეფასება უარყოფითად ჩაითვლება.
- 3.17. შემფასებელი კომისიის გადაწყვეტილება პროფესორის ატესტაციის შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით. კომისიის მდივანი შემაჯამებელი ოქმის შესაბამის ნაწილს, ამონაწერის სახით, დაუგზავნის შეფასებულ პროფესორებს ელფოსტაზე.
- 3.18. პროფესორს უფლება აქვს შემაჯამებელი ოქმის ამონაწერის მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები და განცხადებით მიმართოს სენატს. საჩივარს განიხილავს სენატის მიერ შექმნილი სააპელაციო კომისია გონივრულ ვადაში. კომისია განიხილავს საჩივრებს და საბოლოო შედეგებს დასამტკიცებლად წარუდგენს სენატს.



პროფესორის საგანმანათლებლო და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის  
\_\_\_\_\_ სასწავლო წლის თვითშეფასება

სახელი, გვარი: \_\_\_\_\_

აკადემიური თანამდებობა:

ფაკულტეტი:

დეპარტამენტი:

**I. საგანმანათლებლო საქმიანობის თვითშეფასება.**

გთხოვთ შეაფასოთ საანგარიშო პერიოდში თქვენს მიერ გაწეული საგანმანათლებლო საქმიანობა:

შესაფასებელი აქტივობა და მაქსიმალური ქულა	ქულა	აღწერა
<p>1. მუშაობა სილაბუსზე, მის განვითარებასა და სრულყოფაზე. - მაქს შეფასება - 3 ქულა</p> <p><b>3 ქულა</b> - მუშაობს სილაბუსზე, მის განვითარებასა და სრულყოფაზე.</p> <p><b>2 ქულა</b> - მუშაობს სილაბუსზე, მის განვითარებასა და სრულყოფაზე მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის, ან პროგრამის მიმართულების ხელმძღვანელის მოთხოვნის შემდეგ.</p> <p><b>0 ქულა</b> - არ მუშაობს სილაბუსზე, მის განვითარებასა და სრულყოფაზე.</p>		
<p>2. მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/დახვეწის პროცესში. - მაქს შეფასება - 3 ქულა</p> <p><b>3 ქულა</b> - მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/დახვეწის პროცესში.</p> <p><b>2 ქულა</b> - მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის</p>		

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტუალობის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)





<p>შექმნის/დახვეწის პროცესში. მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის ან პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელის მოთხოვნის შემდეგ</p> <p><b>0 ქულა</b> - არ მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/დახვეწის პროცესში.</p>		
<p>3. წინასწარ განსაზღვრულ ვადებში საგამოცდო მასალების მომზადება;- <b>მაქს. შეფასება 3 ქულა</b></p> <p><b>3 ქულა</b> - ამზადებს საგამოცდო მასალებს წინასწარ განსაზღვრულ ვადებში;</p> <p><b>2 ქულა</b> -- ამზადებს საგამოცდო მასალებს წინასწარ განსაზღვრულ ვადებში მხოლოდ შეხსენების შემთხვევაში;</p> <p><b>1 ქულა</b> - ამზადებს საგამოცდო მასალებს წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, მაგრამ ხარვეზებით;</p> <p><b>0 ქულა</b> - არ ამზადებს საგამოცდო მასალებს წინასწარ განსაზღვრულ ვადებში;</p>		
<p>4. მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების დროული მიწოდება.- <b>მაქს. შეფასება 3 ქულა</b></p> <p><b>3 ქულა</b> - უზრუნველყოფს მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების დროულ მიწოდებას;</p> <p><b>2 ქულა</b> - უზრუნველყოფს მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების დროულ მიწოდებას მხოლოდ შეხსენების შემთხვევაში;</p> <p><b>0 ქულა</b> - არ უზრუნველყოფს მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების დროულ მიწოდებას</p>		



<p>5. მოთხოვნილი საჭირო ინფორმაციის (მათ შორის უკუკავშირი, თვითშეფასება) დროულად, ადეკვატური ფორმით წარმოადგენა. <b>მაქს. შეფასება 3 ქულა</b></p> <p><b>3 ქულა</b> - მოთხოვნილ საჭირო ინფორმაციას წარმოადგენს დროულად, ადეკვატური ფორმით;</p> <p><b>2 ქულა</b> - მოთხოვნილ საჭირო ინფორმაციას წარმოადგენს დროულად, ადეკვატური ფორმით მხოლოდ შეხსენების შემთხვევაში;</p> <p><b>0 ქულა</b> - არ უზრუნველყოფს მოთხოვნილ საჭირო ინფორმაციის წარმოადგენას დროულად, ადეკვატური ფორმით;</p>		
<p>6. სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის დაგეგმილ ღონისძიებებში (საბჭოს სხდომები, კონფერენციები, ვორქშოპები/ტრენინგები, გამოკითხვები, დაკვირვების ჯგუფი და სხვ.) დასწრება/მონაწილეობა. <b>მაქს. შეფასება 3 ქულა</b></p> <p><b>3 ქულა</b> - რეგულარულად ესწრება და/ან მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის დაგეგმილ ღონისძიებებში;</p> <p><b>2 ქულა</b> - რეგულარულად ესწრება და/ან მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის დაგეგმილ ღონისძიებებში მხოლოდ შეხსენების შემთხვევაში;</p> <p><b>0 ქულა</b> - არ ესწრება და/ან მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის დაგეგმილ ღონისძიებებში;</p>		
<p>7. სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის (საბაკალავრო/ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.) ხელმძღვანელობა - <b>მაქს. შეფასება 3 ქულა</b></p> <p><b>3 ქულა</b> - ხელმძღვანელობს სტუდენტების</p>		

ND 2-F09-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 18.10.2017  
მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მიაღწევს დოკუმენტის აქტუალობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებების გეგმვაში“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარვე შემთხვევაში ასლი მიაღწევს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტის და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



<p>სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.) სტუდენტებმა დადგინდეს ვადაში დაასრულეს თემა და მიიღეს დადებითი შეფასება;</p> <p><b>2 ქულა</b> - ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.) სტუდენტთა 80%-ზე მეტმა დადგინდეს ვადაში დაასრულეს თემა და მიიღეს დადებითი შეფასება</p> <p><b>1 ქულა</b> - ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.) სტუდენტთა 80%-ზე ნაკლებმა დადგინდეს ვადაში დაასრულეს თემა და მიიღეს დადებითი შეფასება</p> <p><b>0 ქულა</b> - არ ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.);</p>		
<p><b>8.</b> სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობების (მაგალითად კონსულტაციები, ლექციის დროულად დაწყება/დასრულება და სხვ.) მოთხოვნილი განრიგის თანახმად განხორციელება - <b>მაქს. შეფასება 3 ქულა</b></p> <p><b>3 ქულა</b> - სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს ახორციელებს მოთხოვნილი განრიგის თანახმად;</p> <p><b>2 ქულა</b> - სასწავლო კურსის განხორციელებასთან</p>		

ND 2-F09-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 18.10.2017  
მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის ადგილობრივი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართლიანი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



<p>დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს ახორციელებს მოთხოვნილი განრიგის თანახმად მხოლოდ შეხსენების შემთხვევაში;</p> <p><b>0 ქულა</b> - არ ახორციელებს მოთხოვნილი განრიგის თანახმად სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს;</p>		
<p>9. სტუდენტების შეფასებები</p> <p>სტუდენტების შეფასებით მიღებული საშუალო ქულა</p> <p>0-1 – <b>0 ქულა</b> 1.1-2.5 – <b>1 ქულა</b> 2.6-4 – <b>2 ქულა</b> 4.1-5 – <b>3 ქულა</b></p>		
<p>10. სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები</p> <p>შეფასების მეთოდების ადეკვატურობა არ იწვევს კითხვებს -<b>3 ქულა</b>;</p> <p>შეფასების მეთოდების ადექვატურობა იწვევს კითხვებს - <b>2ქულა</b>;</p> <p>შეფასების მეთოდები არაადექვატურია - <b>0 ქულა</b></p>		
<p>მაქსიმალური შესაძლო ქულა :</p>		<p>30 ქულა</p>
<p>სულ :</p>		<p>ქულა</p>

ND 2-F09-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 18.10.2017  
მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მათვალა დოკუმენტის აქტიურობის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია "დრეფტული ვერსიის" რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათვალა როგორც "არაკონტროლებადი" დოკუმენტი და მასზე ბარისხის სანაშური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



\_\_\_\_\_ სასწავლო წლის სავალდებულო საუდიტორიო და არასაუდიტორიო დატვირთვის  
კომპონენტების შესრულების შესახებ (პროფესორის სახელი და გვარი)

ანგარიში

№	დატვირთვის სახეობა	რაოდენობა	საათი	შესრულება	დადასტურება	ქულა
1						

**შენიშვნა:** ვინაიდან დატვირთვა წარმოადგენს ინდივიდუალური ფორმირების საგანს და სხვადასხვა პროფესორს შეიძლება განსხვავებული დატვირთვა ჰქონდეს ანგარიში შედგება ინდივიდუალური სახით და არა შაბლონურად, პროფესორი მიუთითებს მის დატვირთვაში შეტანილ აქტივობებს/კომპონენტებს და შესაბამის ველში მიუთითებს შესრულების დონეს, მაგ.: სრულად, ნაწილობრივ ან არ შესრულდა. შესრულების ფაქტი დასტურდება შესაბამისი სააღვრიცხვო დოკუმენტაციით, ან ზემდგომი სტრუქტურული ორგანოს წერილობითი დოკუმენტით. ყველა შესრულებული კომპონენტი ფასდება 1 ქულით და დადებითად შეფასდება ანგარიში, რომელიც დადასტურებულად (შესრულებულად) ჩაითვლება დატვირთვის 90% შესრულების შემთხვევაში.

**II. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თვითშეფასება.** გთხოვთ მოიყვანოთ კონკრეტული ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში თქვენს მიერ გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ. მეტი ინფორმაციისთვის ქულების განაწილება იხილეთ მომდევნო გვერდზე.

თარიღი \_\_\_\_\_

ხელმოწერა \_\_\_\_\_

ND 2-F09-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 18.10.2017  
მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროფესორი პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სანაშური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



## ქულობრივი შეფასება\*

- 3 - კვირაში 1 სთ სალექციო დატვირთვა
  
- 1 - ერთი სალექციო / სასემინარო კურსის მომზადება
- 2 - ორი სალექციო / სასემინარო კურსის მომზადება
- 4 - სამი სალექციო / სასემინარო კურსის მომზადება
  
- 3 - ერთი რიდერის მომზადება
- 6 - ორი რიდერის მომზადება
- 9 - სამი რიდერის მომზადება
  
- 1 – ერთსაათიანი საკონსულტაციო დატვირთვა
- 2 – ორსაათიანი საკონსულტაციო დატვირთვა
- 4 – ორ საათზე მეტი საკონსულტაციო დატვირთვა
  
- 5 – ხუთი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
- 10 – ათი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
  
- 1 – ერთი ჯგუფის<sup>2</sup> საგამოცდო ტესტების მომზადება და გასწორება
- 2 – ორი ჯგუფის საგამოცდო ტესტების მომზადება და გასწორება
- 3 – სამი და მეტი ჯგუფის საგამოცდო ტესტების მომზადება და გასწორება
  
- 1 - რაიმე ადმინისტრაციული კომისიის წევრობა
- 2 - საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების საკვალიფიკაციო კომისიის წევრობა

---

2 25-დან 30 სტუდენტამდე

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის აჩვენაობა ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულად გეგმულად“. რევიზია ასევე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სანაშარი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



- 5 - აკადემიური მრჩევლობა
- 2 – სამ ლექციაზე დასწრება და დასკვნების მომზადება
- 4 – ექვს ლექციაზე დასწრება და დასკვნების მომზადება
- 6 – ათ ლექციაზე დასწრება და დასკვნების მომზადება
  
- 2 – 6 საათიანი ადმინისტრაციული დატვირთვა
- 3 – 10 საათიანი ადმინისტრაციული დატვირთვა
- 5 – 14 საათიანი ადმინისტრაციული დატვირთვა
  
- 2 - ერთი სტუდენტის მომზადება სამეცნიერო კონფერენციისთვის
- 4 - ორი სტუდენტის მომზადება სამეცნიერო კონფერენციისთვის
- 6 - სამი სტუდენტის მომზადება სამეცნიერო კონფერენციისთვის
  
- 2 - ერთი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
- 5 - ორი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
- 10 - სამი და მეტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
- 5 - სასწავლო უნივერსიტეტის სახელით ერთი სამეცნიერო მოხსენების მომზადება
- 10 - სასწავლო უნივერსიტეტის სახელით ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება
- 20 - სასწავლო უნივერსიტეტის სახელით მონოგრაფიის გამოცემა / საგრანტო კვლევით პროექტში მონაწილეობა
- 30 - სასწავლო უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება თომსონის რეესტრის ჟურნალში

\* - პროფესორის საქმიანობის შესაფასებლად ერთეულისთვის მინიჭებული ქულა განხორციელებული აქტივობების რაოდენობის მიხედვით გადაანგარიშდება პროპორციულად.

(კვირაში სალექციო დატვირთვის საათების მიხედვით ქულა გადაანგარიშდება პროპორციულად)

ND 2-F09-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 18.10.2017  
მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის "დოკუმენტი ვე ვებ-პორტალი". რევიზიის ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



**აკადემიური თანამდებობის პირის აკადემიური საქმიანობის შეფასება**

თითოეული კრიტერიუმის საბოლოო შეფასება გამოითვლება შემფასებელთა შეფასებების საშუალო არითმეტიკულით

	პროგრამის ხელმძღვანელი	ხარისხი	დეკანი	სასწ. დეპარტამენტი	მონიტორინგის სამსახური
<p>1. რეგულარულად, ჯეროვნად და დროულად მუშაობს სილაბუსზე, მის განვითარებასა და სრულყოფაზე.</p> <p>(ფასდება პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ) - მაქს შეფასება - 3 ქულა</p> <p>3 ქულა-მუშაობს სილაბუსზე, მის განვითარებასა და სრულყოფაზე.</p> <p>2 ქულა - მუშაობს სილაბუსზე, მის განვითარებასა და სრულყოფაზე მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის ან პროგრამის მიმართულების ხელმძღვანელის მოთხოვნის შემდეგ</p> <p>0 ქულა - არ მუშაობს სილაბუსზე, მის განვითარებასა და სრულყოფაზე.</p>					
<p>2. მონაწილეობს და წვლილი შეაქვს საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/დახვეწის პროცესში. (ფასდება პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ) - მაქს შეფასება - 3</p>					

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის აჩვენები ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებების რევიზია“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)





<p>ქულა</p> <p>3 ქულა-მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/დახვეწის პროცესში.</p> <p>2 ქულა - მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/დახვეწის პროცესში. მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის ან პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელის მოთხოვნის შემდეგ</p> <p>0 ქულა - არ მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/დახვეწის პროცესში.</p>					
<p>3. ამზადებს საგამოცდო მასალებს წინასწარ განსაზღვრულ ვადებში;</p> <p>(ფასდება სასწავლო სამმართველოს, ფაკულტეტის დეკანის მიერ) - მაქს. შეფასება 3 ქულა</p> <p>3 ქულა - ამზადებს საგამოცდო მასალებს წინასწარ განსაზღვრულ ვადებში;</p> <p>2 ქულა - ამზადებს საგამოცდო მასალებს წინასწარ განსაზღვრულ ვადებში მხოლოდ შეხსენების შემთხვევაში;</p> <p>1 ამზადებს საგამოცდო მასალებს წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, მაგრამ ხარვეზებით;</p> <p>0 ქულა - არ ამზადებს საგამოცდო მასალებს წინასწარ განსაზღვრულ ვადებში;</p>					

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედებს არააქტიური დოკუმენტის ანალოგიური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია "დროებითი ვერსიის" რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



<p>4. უზრუნველყოფს მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების დროულ მიწოდებას</p> <p>(ფასდება სასწავლო სამმართველოს, ფაკულტეტის დეკანის მიერ) - მაქს. შეფასება 3 ქულა</p> <p>3 ქულა - უზრუნველყოფს მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების დროულ მიწოდებას;</p> <p>2 ქულა - უზრუნველყოფს მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების დროულ მიწოდებას მხოლოდ შეხსენების შემთხვევაში;</p> <p>0 ქულა - არ უზრუნველყოფს მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების დროულ მიწოდებას.</p>					
<p>5. მოთხოვნილ საჭირო ინფორმაციას (მათ შორის უკუკავშირი, თვითშეფასება) წარმოადგენს დროულად, ადეკვატური ფორმით;</p> <p>(ფასდება სასწავლო დეპარტამენტის, ფაკულტეტის დეკანის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ) - მაქს. შეფასება 3 ქულა</p> <p>3 ქულა - მოთხოვნილ საჭირო ინფორმაციას წარმოადგენს დროულად, ადეკვატური ფორმით;</p>					

ND 2-F09-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 18.10.2017  
მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მიაღწიეს დოკუმენტის აქტუალობის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი გეგმავალი“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი მიაღწიეს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტს და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



<p>2 ქულა - მოთხოვნილ საჭირო ინფორმაციას წარმოადგენს დროულად, ადეკვატური ფორმით მხოლოდ შეხსენების შემთხვევაში;</p> <p>0 ქულა - არ უზრუნველყოფს მოთხოვნილ საჭირო ინფორმაციას წარმოადგენას დროულად, ადეკვატური ფორმით;</p>					
<p>6. რეგულარულად ესწრება და/ან მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის დაგეგმილ ღონისძიებებში (საბჭოს სხდომები, კონფერენციები, ვორქშოფები/ტრენინგები, გამოკითხვები, დაკვირვების ჯგუფი და სხვ.)</p> <p>(ფასდება სასწავლო დეპარტამენტის, ფაკულტეტის დეკანის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ) - მაქს. შეფასება 3 ქულა</p> <p>3 ქულა - რეგულარულად ესწრება და/ან მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის დაგეგმილ ღონისძიებებში;</p> <p>2 ქულა - რეგულარულად ესწრება და/ან მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის დაგეგმილ ღონისძიებებში მხოლოდ შეხსენების შემთხვევაში;</p> <p>0 ქულა - არ ესწრება და/ან მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის დაგეგმილ ღონისძიებებში;</p>					

ND 2-F09-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 18.10.2017  
მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტუალობა ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია "დოკუმენტი ვე ვერმზღავრო". რევიზიატი ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტის და მასზე ბარიბის სანაშური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



<p>7. ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.) - მაქს. შეფასება 3 ქულა</p> <p>(ფასდება სასწავლო დეპარტამენტის, ფაკულტეტის დეკანის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ)</p> <p>3 ქულა - ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.) სტუდენტებმა დადგინდეს ვადაში დაასრულეს თემა და მიიღეს დადებითი შეფასება;</p> <p>2 ქულა - ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.) სტუდენტთა 80%-ზე მეტმა დადგინდეს ვადაში დაასრულეს თემა და მიიღეს დადებითი შეფასება</p> <p>1 ქულა - ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.) სტუდენტთა 80%-ზე ნაკლებმა</p>				

ND 2-F09-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 18.10.2017  
მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედებს არსებული დოკუმენტის აქტიურობის ნაბეჭდი ასლი. თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებები გეგმავალი“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესში პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაივლიდა რევიზორ „არაკორექტირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



<p>დადგენილ ვადაში დაასრულეს თემა და მიიღეს დადებითი შეფასება</p> <p>0 ქულა - არ ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.);</p>					
<p>8. სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს (მაგალითად კონსულტაციები, ლექციის დროულად დაწყება/დასრულება და სხვ.) ახორციელებს მოთხოვნილი განრიგის თანახმად</p> <p>(ფასდება სასწავლოდეპარტამენტის და ფაკულტეტის დეკანის მიერ) - მაქს. შეფასება 3 ქულა</p> <p>3 ქულა - სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს ახორციელებს მოთხოვნილი განრიგის თანახმად;</p> <p>2 ქულა - სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს ახორციელებს მოთხოვნილი განრიგის თანახმად მხოლოდ შეხსენების შემთხვევაში;</p> <p>0 ქულა - არ ახორციელებს მოთხოვნილი განრიგის თანახმად სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს;</p>					

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტიურობის ნაკვეთი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „ღირებულებები“. რევიზიის ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნილი, წინასწარ შეთანხმებული ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტის და მასზე ბარიბის სწავლობის პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



<p>9. სტუდენტების შეფასებები</p> <p>სტუდენტების შეფასებით მიღებული საშუალო ქულა</p> <p>0-1 – 0 ქულა</p> <p>1.1-2.5 – 1 ქულა</p> <p>2.6-4 – 2 ქულა</p> <p>4.1-5 – 3 ქულა</p> <p>(ივსება შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ)</p>					
<p>10. სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები (ფასდება სასწავლო დეპარტამენტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტის დეკანის მიერ)</p> <p>( შეფასების მეთოდების ადექვატურობა არ იწვევს კითხვებს - 3ქულა;</p> <p>შეფასების მეთოდების ადექვატურობა იწვევს კითხვებს- 2 ქულა;</p> <p>შეფასების მეთოდები არაადექვატურია - 0 ქულა))</p>					
<p>მაქსიმალური შესაძლო ქულა :</p>		<p>30 ქულა</p>			
<p>სულ :</p>		<p>ქულა</p>			

ND 2-F09-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 18.10.2017  
მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის აჩვენების ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღწერის უნიკალური იდენტიფიკაციის ნომერი. რევიზიის ასლზე დატანის პროცესში პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ფაკულტეტი:

დეპარტამენტი:

გვარი, სახელი:

სამეცნ. (აკად) ხარისხი:

აკადემიური თანამდებობა:

	სავალდებულო არასააუდიტორიო დატვირთვის კომპონენტები (1160 სთ. არასაკონტაქტო - 340 სთ. საკონტაქტო)	რაოდენობა	დაგეგმილი საათები	შესრულებული საათები
1	კონსულტაცია სტუდენტთათვის - სასწავლო კურსზე კვირაში 2 საათი;			
2	უწყისის/ყურნალის წარმოება - 1 ჯგუფზე - 10 საათი;			
3	სტუდენტის შეფასება (შუალედური, ფინალური) – 1 სტუდენტზე 1 საათი სემესტრში;			
4	100 საგამოცდო ტესტის შედგენა ან 20-25 გვერდი ( ზუსტი მეცნიერებებისთვის 8-10 გვერდი) უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა 100 საათი ( სავალდებულოა "ა" კატეგორიის პერსონალისთვის)			
5	სილაბუსის შედგენა/სრულყოფა - 1 სილაბუსი - 50 საათი;			
6	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა - 1 პროგრამა - 50 საათი;			
7	საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება - 1 პროგრამა - 100 საათი;			
8	კურიკულუმს ფარგლებს გარეთ აქტივობა – სასწავლო წლის განმავლობაში - 20 საათი;			
9	<b><u>საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა – 1 ნაშრომი - 30 საათი (აქედან საათობრივი ანაზღაურების წესით ანაზღაურდეს 10 საათი);</u></b>			
10	<b><u>სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა სწავლების მეორე წლიდან განისაზღვრის - 1 ნაშრომი - 50 საათით (აქედან საათობრივი ანაზღაურების წესით ანაზღაურდეს 20 საათი);</u></b>			
11	სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა - 1 თემა - 10 საათი;			
12	სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა – სასწავლო წლის განმავლობაში - 50 საათი;			
13	სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება - 1 ნაშრომი - 10 საათი;			

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩევრი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია "დოკუმენტი ვე ვერაპირი". რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



14	ახალი სალექციო კურსის მომზადება - ერთი 5 კრედიტის სალექციო კურსი - 250 საათი;			
15	სახელმძღვანელოს თარგმნა - 1 გვერდი - 1,5 საათი;			
16	სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რეცენზირება - ერთი სახელმძღვანელო/ მონოგრაფია - 30 საათი;			
17	სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რედაქტორობა - ერთი სახელმძღვანელო/ მონოგრაფია 40 საათი;			
18	მონოგრაფიის ან სახელმძღვანელოს მომზადება - 1 გვერდი - 2 საათი;			
19	სამეცნიერო სემინარზე მოხსენების გაკეთება - 1 მოხსენება - 20 საათი ;			
20	სამეცნიერო სტატიის მომზადება და გამოქვეყნება ( თანაავტორის გარეშე ) ბსუ-ს ან იმპაქტფაქტორიან ჟურნალში- 1 სტატია 50 საათი ( სავალდებულოა "ა" კატეგორიის პერსონალისათვის.			
21	საკონფერენციო თემის მომზადება - 20 საათი;			
22	სამეცნიერო კონფერენციის/ სემინარის/სიმპოზიუმის/კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა - 20 საათი;			
23	საპატენტო განაცხადის მომზადება/წარდგენა -30 საათი;			
24	საგრანტო განაცხადის მომზადება/წარდგენა/monawileoba(სავალდებულოა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისათვის) - 50 საათი;			
25	დეპარტამენტის ხელმძღვანელობა -150 საათი			
26	სენატის წევრობა - 50 საათი;			
27	სადისერტაციო საბჭოს წევრობა - 1 სხდომა - 3 საათი;			
28	ფაკულტეტის საბჭოს სხდომებში მონაწილეობა -1 სხდომა 2 -საათი			
29	დეპარტამენტის სხდომებში მონაწილეობა - 1 სხდომა - 1 საათი;			
30	რედკოლეგიის წევრობა - 10 საათი.;			
31	საჯარო ან ღია ლექცია ( სავალდებულოა „ა“ კატეგორიის პერსონალისთვის ) -1 ლექცია 5 საათი.			
32	სხვა (წინამდებარე წესით გაუთვალისწინებელი) საუნივერსიტეტო აქტივობა - საათების სავარაუდო რაოდენობა გონივრულ ფარგლებში;			
33	ჯამი:			

ND 2-F09-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 18.10.2017  
მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიატი „დოკუმენტი ცვ შემოღარი“. რევიზიატი ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარვე შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bmsa.edu.ge](http://www.office.bmsa.edu.ge)





შენიშვნა:

ა) მე-9 და მე-10 ქუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოს ნაწილი ექვემდებარება საათობრივ ანაზღაურებას.

ბ) აკადემიური პირი ვალდებულია წარმოადგინილი დატვირთვა შეასრულოს \_\_\_\_\_ სასწავლო წლის განმავლობაში. ცვლილებების შემთხვევაში წერილობით აცნობოს დეპარტამენტის ხელმძღვანელს. სასწავლო წლის ბოლოს აკადემიურმა პირმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული მუშაობის ანგარიში.

დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ფაკულტეტის დეკანი

აკადემიური თანამდებობის პირი

მონიტორინგის სამსახურის უფროსი:

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მათვალვება დოკუმენტის აქტიურობა ნაბეჭდი ახლი თუ მას არ აქვს რევიზიები „დროებითი გეგმავალი“. რევიზიები ახლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლი მათვალვება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ახლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



## 12. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია;  
[www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)
3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დაკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით;

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 18.10.2017

შეუქმადე არ ჩაითვლება დოკუმენტის არევიზია ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღრიცხული ეგზემპლარი. რევიზიის ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)